



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N8**

ქ.ლანჩხუთი

17.08.2016 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს ფრაქციის, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქციის ქართული ოცნება-კონსერვატორების თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე, ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქციის, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ზზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ ბიუროს წევრებს, სხდომაზე დამსწრეებს და სრულიად საქართველოს მიულოცა 2016 წლის რიოს ოლიმპიადაზე ქართველი ძალოსნის ლაშა ტალახაძის მიერ აღებული პირველი ოქროს მედალი და სხვა მონაწილე სპორტსმენებს წარმატებები უსურვა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ერთი საკითხი, რომელიც დამატებული აქვს დღის წესრიგის პროექტს და იგი შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

3. „ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

6. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა მორიგი საკრებულოს სხდომის მოწვევის საკითხზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 26 აგვისტო 10 საათი.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმისათვის ცვლილება განპირობებულია ნუსხასა და გეგმაში ასახული რამოდენიმე ობიექტის პრივატიზირების და რამოდენიმე ობიექტის სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით. ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, სარიტუალო დარბაზი ამოღებულ იქნა საპრივატიზაციო ნუსხასა და გეგმიდან, რომელზეც სარგებლობის უფლებით გაცემიდან გამომდინარე გამოცხადდება აუქციონი.

დეპუტატი კახა ურუშაძე დაინტერესდა თუ რომელი ობიექტები იქნა პრივატიზირებული.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურამ** განმარტა, რომ რეალიზებული იქნა ქ. ლანჩხუთში, ყოფილი სასტუმროს შენობის პირველ სართულზე მდებარე ოთახი N3, ასევე ყოფილი ნავთძიების შენობის მეორე სართულზე არსებული ოთახი N17.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე სარიშვილი** დაინტერესდა, თუ რა რაოდენობის თანხა შემოვიდა ობიექტების პრივატიზებიდან.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურია** განმარტა, რომ ყოფილი სასტუმროს შენობაში არსებული ოთახი N3-ის რეალიზაციიდან შემოვიდა 7 000 ლარამდე, ხოლო ყოფილი ნავთობის შენობაში არსებული ოთახი N17-ის პრივატიზირებიდან შემოვიდა დაახლოებით 2 000 ლარამდე. ჯამში პრივატიზირებული ობიექტებიდან შემოვიდა დაახლოებით 185 000 ლარი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეზღვროს ამავე კომისიასა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი **გიორგი ფაცურია**.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურია**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებით დადგენილ იქნა საარჩევნო-სააგიტაციო მასალების გამოფენის ადგილები. ცვლილება განპირობებულია აღნიშნული საარჩევნო-სააგიტაციო მასალების ზომების განსაზღვრის

მიზნით. საარჩევნო სუბიექტის მიერ განსაზღვრულ ადგილებში გამოფენილი საარჩევნო ბანერის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 60 სმ-ეს, ხოლო სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 42 სმ-ეს. სკვერებში არსებულ მწვანე ნარგავებზე მაქსიმალურ რაოდენობად თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის განსაზღვრული იქნეს ერთი პლაკატი ერთ ნარგავზე. ასევე ერთი პლაკატი ერთი სუბიექტისთვის განათების ბოძზე. რაც შეეხება მოსაცდელებს-განისაზღვროს არაუმეტეს ორი ცალისა ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის.

დეპუტატმა **კახა ურუშაძემ** დასვა შეკითხვა- რატომ უნდა იყოს საარჩევნო სააგიტაციო მასალები ხეებზე განთავსებული? მას დაეთანხმა დეპუტატი **ია ჩხაიძე**. მათი აზრით საარჩევნო მასალების ხეებზე განთავსება ზიანს მიაყენებს ხის მერქანს.

დეპუტატმა **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ როგორც წესი საარჩევნო სააგიტაციო მასალების გამოფენა ხდება სპეციალურად გაკეთებულ სტენდებზე. ვინაიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს აღნიშნული სტენდების გასაკეთებლად თანხები არ გააჩნია, აქედან გამომდინარე დაიშვა საარჩევნო სააგიტაციო მასალების ხის მერქნებზე გამოფენა.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** დაინტერესდა, რომ თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მიერ მოხდება ერთის ნაცვლად ორი ან მეტი საარჩევნო ბანერის გამოფენა, ასეთ შემთხვევაში კონტროლს ვინ გაუწევს და დაარეგულირებს აღნიშნულ საკითხს.

დეპუტატმა **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, ასეთი ფაქტები იქნება კანონის დარღვევა. ნებისმიერი საარჩევნო სუბიექტი დააფიქსირებს მგსავსი ფაქტის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიაში, სადაც მას განიხილავს შესაბამისი კომისია და მოხდება მისი დაჯარიმება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“,

„დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია ქ. თბილისში მცხოვრები მოქალაქე თეიმურაზ გოგიას განცხადება, (N3955 25.07.2016) რომელიც ითხოვს ქ. ლანჩხუთში თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 27.06.54.354) მიენიჭოს მისამართი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ დათვალიერებული იქნა ობიექტი ადგილზე. მიწის ნაკვეთი მდებარეობს ნ. ჟორდანიას ქ. N35-ის მიმდებარედ. აღნიშნულ სამსახურს მიაჩნია, რომ მოქალაქე თეიმურაზ გოგიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭოს მისამართი ნომრით ნ. ჟორდანიას ქ. N33

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მახვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია მახვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქე ნუგზარ იმნაძის განცხადება (N3862 19.07.2016), რომელიც ითხოვს მახვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 27.07.41.090) მიენიჭოს მისამართი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ დათვალიერებული იქნა ობიექტი ადგილზე. მიწის ნაკვეთი მდებარეობს იოანე ნათლისმცემლის ქ. N1-ის მიმდებარედ. აღნიშნულ სამსახურს მიაჩნია, რომ მოქალაქე ნუგზარ იმნაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭოს მისამართი ნომრით იოანე ნათლისმცემლის ქ. N1^ბ.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მახვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ლანჩხუთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უფროსის სოფიკო სარჯველაძის წერილი(N 11/208354 08.08.2016), რომელიც ითხოვს დახმარებას მოქალაქე რუსუდან კიკვაძე- ფირცხალაიშვილის (პ/ნ26001011740) მისამართის დაზუსტებასთან დაკავშირებით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურისა და შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ დამისამართების დროს მოქალაქე რუსუდან კიკვაძე-ფირცხალაიშვილს შეცდომით მიენიჭა მისამართი ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგოითში. ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოქალაქე რუსუდან კიკვაძე-ფირცხალაიშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს/კ27.05.44.060) მიენიჭოს მისამართი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო შუხუთი ლელოს ქუჩა N 3ა (N1 ქუჩა N3ა)

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.
- 2)განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
- 3)პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა:

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (გულიანი, ჯიხანჯირი, ღვედის უბანი, ოდილაური, წიაღობანი, ხორეთი, კოკათი) შიდა გზებზე ძალიან რთული ვითარებაა, ავტომობილით გადაადგილება ფაქტობრივად შეუძლებელია. დეპუტატის თქმით, ჩოჩხათი-გულიანის მთავარ გზაზე ხიდის მშენებლობის სამუშაოს აწარმოებს შპს. „სამკუთხედი“. მშენებლობის ზონაში არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები, კერძოდ მშენებარე ობიექტს შემოვლითი, ალტერნატიული გზა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე არსებობს ავტოსაგზაო შემთხვევების მაღალი რისკი. მას დღეს შეატყობინეს, რომ გზის აღნიშნულ მონაკვეთზე გადავარდა სასწრაფო დახმარების მანქანა. აუცილებელია სამუშაოს შემსრულებელმა კომპანიამ მოაწიოს დროებითი ალტერნატიული გასასვლელი, რათა გადაადგილება უსაფრთხო გახდეს. დეპუტატის აზრით, შპს. „სამკუთხედი“ არის უპასუხისმგებლო კომპანია, კერძოდ მან არაერთხელ მიმართა შპს „სამკუთხედს“ აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად, მაგრამ უშედეგოდ. უფრო მეტიც, სატელეფონო ზარებს კომპანიაში არ პასუხობენ.

დეპუტატმა **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ გზის ხსენებულ მონაკვეთზე (გუჯაბიძის სახლთან) მართლაც ძალიან საშიში ვითარებაა, გასასვლელი არ არის დარჩენილი. ასევე დაგებული ასფალტის საფარი არის უკვე ჩაწეული და ჩამსკდარი. სამუშაოების შემსრულებელი შ.პ.ს. „სამკუთხედის“ არცერთი თანამშრომელი ადგილზე არ მისულა, რათა ხარვეზებით შესრულებული სამუშაოები ენახათ. იგი დაეთანხმა დეპუტატ ალექსანდრე სარიშვილს სოფლების შიდა გზების სავალალო მდგომარეობის შესახებ. ასევე დეპუტატმა აღნიშნა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მოედანში ჯერ კიდევ გაურკვეველია ხრემის გატანასთან დაკავშირებული პრობლემები. ლიცენზიის მქონე კომპანია ცდილობს ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად მოლაპარაკებაზე გავიდნენ მოსახლეობასთან და აღნიშნული საკითხი კომპანიისთვის სასიკეთოდ გადაწყვიტონ. თუ მიღებულ იქნება ლიცენზიანტების სასარგებლოდ გადაწყვეტილება, დეპუტატის თქმით, ეს იქნება უსამართლობა და უპასუხისმგებლობა, რადგან ყოველგვარი შესწავლის, სტანდარტის გარეშე მოხდა ლიცენზიის გაცემა. ეს პირველ რიგში დააზიანებს ადგილობრივი მოსახლეობას, კერძოდ, ნაპირი გახდება დაუცველი, ასევე იგი მნიშვნელოვნად დააზიანებს მყარ ნაგებობებს (სახლებს). მოსახლეობას აქვს ბევრი კითხვა ხელისუფლებასთან, თუ სად იყო მაშინ, როცა ლიცენზია გაიცა, როცა გეოლოგიური დასკვნა მომზადდა, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობის ინტერესები და გვერდზე დაუდგეს მათ. ასევე დეპუტატმა აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გულიანში მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გასხვისდა 72 ჰექტარი მიწის ფართობი, რომელიც შეიძინა მაშინდელმა ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე გოგოტიშვილმა. გასხვისებული მიწის ნაკვეთები მოიცავს სოფლის სასაფლაოს ტერიტორიას. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რომელ კანონში წერია სასაფლაოს ტერიტორიის კერძო საკუთრებაში გადაცემა. დეპუტატის აზრით, ახალ ხელისუფლებას უნდა მოეხდინა ამ უკანონოდ გასხვისებული ტერიტორიის სამართლებრივი ფორმით უკან დაბრუნება. აღნიშნული

ტერიტორიებიდან დღესაც ხდება ხის მერქნის გატანა. ყოველივე ამაზე ვინ ახდენს კონტროლს, დღემდე ბუნდოვანია. დეპუტატის თქმით, 4 წლის მანძილზე არაფერი გაკეთებულა რათა ეს საკითხი მწვავედ წინა პლანზე ყოფილიყო წამოწეული და უკანონოდ გასხვისებული მიწები, რომელზეც მოსახლეობას გააჩნია მიღება-ჩაბარების აქტები უკან დაბრუნებოდათ.

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ამ საკითხის შესწავლა მოხდა 2 წლის უკან, რომელშიც ჩართული იყო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა. მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და ტერიტორიის გასხვისების პროცესში უკანონობა არ გამოვლენილა. მესაკუთრეს ელექტრონულად დარეგისტრირებული აქვს მიწის ნაკვეთი, რომელშიც სასაფლაოს ტერიტორია არ არის მოქცეული. იყო მხოლოდ სტადიონის ტერიტორია, რომლის დასაბრუნებლად მოსახლეობის მხრიდან მოეწყო საპროტესტო აქცია, რომელშიც ის პირადად მონაწილეობდა.

დეპუტატმა **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ სტადიონის დაბრუნების აქციის ორგანიზატორი იყო მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნება.

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** უპასუხა, რომ აღნიშნულ სწორედ ის იდგა იმ კონკრეტული ადამიანის გვერდით. აღნიშნული მიწის ნაკვეთები ეკუთვნოდა სახელმწიფოს, რომელმაც 2007 წელს მოახდინა ტერიტორიის გასხვისება, რომელიც შეიძინა იმ დროისთვის ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე გოგოტიშვილმა. აღმოჩნდა, რომ გასხვისებულ ტერიტორიაში იყო ისეთი ტიპის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც მოსახლეობას მიღება-ჩაბარების აქტები გააჩნდათ. შემდგომში გოგოტიშვილის მხრიდან ფორმალურად ხელშეკრულების ფორმით გადასხვისდა მიწის ნაკვეთები, ისე რომ რეალურად დღემდე ის ასრულებს მიწის ნაკვეთებზე სამუშაოებს. აღნიშნული ტერიტორია სრულად იქნა შეღობილი. ადგილზე იყო ჩასული სატყეო სამსახური, რომელმაც მოსახლეობას განუმარტა, რომ შემოღობილი ტერიტორია უფრო იქნებოდა დაცული. ამის შემდგომ ტერიტორიის მესაკუთრეებმა დაიწყეს ასწლოვანი ხეების მოჭრა და გატანა. საკითხთან დაკავშირებით ადგილზე გუბერნატორიც იქნა ჩამოყვანილი, საქმე შევიდა პოლიციაში, რაზეც მრავალი მოწმე იქნა დაკითხული, მაგრამ დეპუტატის თქმით, ჯერჯერობით საქმეზე პოლიციის მიერ რაიმე დასკვნა არ არის დადებული.

დეპუტატმა **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ გუბერნატორი ამ საკითხთან დაკავშირებით წინააღმდეგობაშია მოსახლეობის ინტერესებთან.

დეპუტატმა **კახა ურუშაძემ** მიმართა დეპუტატ ნონა მურვანიძეს, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილმა ნათლად ჩამოაყალიბა აღნიშნული საკითხის შესახებ. მისი თქმით, მუნიციპალიტეტმა რა უნდა გააკეთოს იმაზე მეტი, როცა საქმე გადაცემულია ძალოვან სტრუქტურაში და მასზე მიმდინარეობს გამოძიება.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** თხოვნით მიმართა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსს გიორგი ფაცურიას, რომ საკითხან მიმართებაში რაიმე დამატებით ინფორმაციას ხომ არ ფლობდა.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურამ** აღნიშნა, რომ ყველა ის საკითხი, რომელზეც დეპუტატმა ნონა მურვანიძემ ისაუბრა, შესწავლილია გამეობის შესაბამისი სამსახურების მიერ და გადაცემულია პროკურატურისთვის.

დეპუტატმა **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ საჭიროა პოლიტიკური ნება, რათა თავის დროზე უკანონო, არასწორი ქმედება ახალმა ხელისუფლებამ გაასწოროს.

დეპუტატმა **კახა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ მესაკუთრეს საჯარო რეესტრში აქვს დარეგისტრირებული აღნიშნული მიწის ნაკვეთები, თუ როგორ მოხდა მისი დარეგისტრირება, ეს გამოძიების დასადგენია. პოლიტიკური ნებით კი კერძო მესაკუთრეს საკუთრებას სახელმწიფო ვერ წაართმევს.

დეპუტატმა **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ საკითხი წარმოადგენს კერძოს სახის დავას, რომელიც გადაცემულია ძალოვან სტრუქტურაში და პროკურატურა გამოიძიებს აღნიშნულ საქმეს.

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მოედანში კარიერთან დაკავშირებით, ინერტული მასალების გატანის პრობლემასთან დაკავშირებით შედგა შეხვედრა სამუშაოების შემსრულებელ კომპანიასა და მოსახლეობას შორის, რომელსაც ესწრებოდა გუბერნატორი. იგი მოსახლეობას დაპირდა, რომ ჩამოვიდოდა გეოლოგების ჯგუფი, რომელიც შეისწავლიდა საკითხს. მართლა ჩამოვიდა გეოლოგთა ჯგუფი, მოსახლეობის მხრიდან იყო მთავრი კითხვა დასმული- თუ რა ზეგავლენას მოახდენდა ინერტული მასალების ამოღება გარემოზე. გეოლოგებმა განმარტეს, რომ მათ შეეძლოთ მხოლოდ იმის დადგენა -ჭარბი იქნებოდა თუ არა აღნიშნულ ადგილზე ინერტული მასალები, ხოლო გარემო ფაქტორებზე თუ რა ზეგავლენას მოახდენდა ინერტული მასალების ამოღება, მათ ამის დადგენა არ შეეძლოთ. დეპუტატი დარწმუნებულია, რომ ლიცენზიის მქონე კომპანია წარმოადგენს გეოლოგების მიერ მიწოდებულ დასკვნას, რომლითაც აღნიშნულ ტერიტორიაზე არის ჭარბი ინერტული მასალები.

დეპუტატი **ია ჩხაიძე** დაინტერესდა, რატომ შეუწყვიტეს წინა ლიცენზიანტ კომპანიას ინერტული მასალების ამოღება, რომელსაც მისი ინფორმაციით დღესაც მოქმედი ლიცენზია გააჩნიათ. მან დასვა კითხვა, თუ ახალი მეწარმისთვის რატომ არის დაშვებული ინერტული მასალების ამოღება.

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული ადგილიდან ინერტული მასალის გატანა არასდროს განხორციელებულა. მოსახლეობა ინერტული მასალების ამოღების წინააღმდეგი იყო მაშინაც და დღესაც. მისი თქმით, სამუშაოს შემსრულებელ ახალ მეწარმესაც იგივე ტიპის ლიცენზია აქვს.

დეპუტატმა **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რადგან გეოლოგთა ჯგუფი ვერ დებს შესაბამის დასკვნას იმის თაობაზე, თუ ინერტული მასალების ამოღებას გარემო პირობებზე რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, მაშინ მოწვეულნი უნდა იქნას იმ სფეროს სპეციალისტები, რომლებსაც მსგავსი ტიპის დაკვანის გაკეთება შეეძლება.

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ აუცილებელია ყველა ინსტანციისთვის მიწოდებული იქნას ეს საკითხი, რომ აღნიშნულ ადგილას ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზიის გაცემა არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში რამოდენიმე სოფელი- მოედანი, ხორეთი და კოკათი კატასტროფის წინაშე დადგება.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა **ნუგზარ ცინცაძემ** განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წერილის საფუძველზე საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ლიცენციის მფლობელ კომპანიას შეეჩერებინა სამუშაოები. ამის შემდგომ ლიცენზიანტმა კომპანიამ დაიქირავა სხვა მეწარმე, რათა მისთვის მოეპოვებინა ინერტული მასალები. ჭარბი ინერტული მასალის გატანა მისი ინფორმაციით მშენებლობებისთვის იკრძალება, მხოლოდ დასაშვებია პლაჟის ზოლისთვის.

დეპუტატი **ელგუჯა ჩხაიძე** დაინტერესდა, თუ ვინ უნდა დაარეგულიროს ეს საკითხი.

დეპუტატმა **კახა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ლიცენზიის ქონა არ ნიშნავს იმას, რომ ლიცენზიანტმა მეწარმემ ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე მოიპოვოს ინერტული მასალები.

დეპუტატმა **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში დაზარალებულა ლიცენზიანტი მეწარმე, რადგან მას ინერტული მასალების უფლების მოპოვების ლიცენზიაში თანხა აქვს გადახდილი. მისი მოსაზრებით, ლიცენზიის გამცემმა უნდა გადაუხადოს ლიცენზიანტს კომპენსაცია.

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ 2014 წელს ყოფილი პრემიერ მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის დადგენილებით, ზღვის სანაპიროდან 20 კმ პირდაპირი ხაზით აიკრძალა ინერტული მასალი მოპოვება.(თუ მოპოვება არ ამაგრებს ზღვის სანაპიროს). აღნიშნული ტერიტორია ზღვის ხაზით მდებარეობს დაახლოებით 7 კმ-ში. მეწარმეები ამბობენ, რომ მათ ინერტული მასალების მოპოვებაზე ლიცენზიები აქვთ მოპოვებული აღნიშნული დადგენილების მიღებამდე. დეპუტატმა კითხვით მიმართა გამგებლის იურიდიული სამსახურის უფროსს შოთა ჩაგუნავას- ამ შემთხვევაში კანონს აქვს თუ არა უკუქმედების ძალა, რადგან მიღებული 2013 წლის ლიცენზია გააბათილოს.

გამგებლის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, როცა კანონის უკუქმედების ძალა დააზარალებს ლიცენზიის მფლობელ მეწარმეებს, ვერ იქნება გამოყენებული კანონი. ამ შემთხვევაში, ლიცენზიის გამცემმა ორგანომ უნდა გადახედოს 2013 წელს გაცემულ ლიცენზიას, რადგან 2014 წელს თავად ის იქნებოდა იმ კანონპროექტის შემდგენელი, რომლითაც 2014 წელს ზღვიდან 20 კმ-იან მონაკვეთში ინერტული მასალების მოპოვებაზე შეზღუდვები დააწესა.

დეპუტატმა **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის გამოცხადებული ტენდერი ჩაიშალა. იგი დაინტერესდა თუ როდის გამოცხადდება ახალი ტენდერი. ასევე დეპუტატმა აღნიშნა, რომ 2 კმ ნაცვლად ამ ეტაპზე მხოლოდ 600 მ-ტერიტორიაზეა დაგებული ასფალტის საფარი. იგი დაინტერესდა, როდის დაიგება დაგეგმილი 2 კილომეტრიანი მონაკვეთი.

გამგებლის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ხიდების რეაბილიტაციისთვის გამოცხადებული ერთი ტენდერი უკვე დასრულებულია, მიმდინარეობს მეორე ტენდერზე მუშაობა, რომელიც რამოდენიმე დღეში დასრულდება. განხორციელებულია ყველა სამუშაო, რაც გზას ესაჭიროება ასფალტის საფარის დაგებამდე, დარჩენილია მხოლოდ ასფალტის საფარის დაგება, რომელიც უახლოს პერიოდში განხორციელდება.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთში გორგასლის ქუჩაზე გაკეთდა სანიაღვრე არხები, მასზე გადასასვლელები კი ჯერჯერობით არ მოწყობილა. იგი დაინტერესდა, თუ როდის გაკეთდება სანიაღვრე არხებზე გადასასვლელები, ვინაიდან მოსახლეობას ეზოში შესასვლელი საავტომობილო გზა ფაქტიურად ჩაკეტილი აქვს.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ აღნიშნულ ქუჩაზე სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რომელიც დაახლოებით ერთ თვეში დასრულდება.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ელგუჯა დოლიძის ქუჩაზე გარე განათების მოწყობისთვის, მიუხედავად ბევრი მომართვისა, 400 ლარის გამოყოფა არ მოხდა. დეპუტატის თქმით, სოფლის პროგრამებით ეკონომიით დარჩენილი თანხა უნდა მიიმართოს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ სოფლის პროგრამებით ეკონომიით დარჩენილი თანხების განკარგვაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სოფლის საერთო კრებამ.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძე** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემავალ სანაპირო ზოლში სოფ. წყალწმინდიდან სოფ. მალთაყვამდე მონაკვეთში არ იწამლება ხეები, რომლებსაც შესეული აქვს ე.წ „ამერიკული პეპელა“.

დეპუტატის თქმით, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, რკინიგზის გადასასვლელიდან მდინარე სუფსამდე არსებული გზის მონაკვეთი არის სავალალო მდგომარეობაში. იგი დაინტერესდა, თუ როდის მოხდება აღნიშნული გზის რეაბილიტაცია. ასევე დეპუტატმა აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალ სკვერთან, მამა გაბრიელის სახლი ძლიერი წვიმების(სტიქის) შედეგად მთლიანად დაიტბორა.

გამგეობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ აღნიშნული ფაქტი გამგეობის შესაბამისმა სამსახურმა შეისწავლა და მას სტიქიის კვალიფიკაცია არ მიენიჭა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო